პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ხუთშაბათი
11 ივნისი
№ 136 (18078)
ფასი 2 კაპ.

მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ნახევარწლეულის დამთავრებამდე ორი დეკადაღა დარჩა.

ორივე დეკადის ყოველ დღეს — დამკვრელური შრომა!

ნახევარი წლის გეგმა აუცილებლად უნდა შესრულდეს!

გავზარდოთ, განვამტკიცოთ წარმატებები!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა

ვიაროთ წინ, არ დავჯერდეთ მიღწეულს, გავზარდოთ და განმტკიცოთ წარმატებები — ეს მოითხოვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რომლებმაც თავიანთ გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე წლის ხუთი თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და პირველი ნახევარწლეულის გეგმისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების ამოცანები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

ამას მოითხოვს დრო

ორატორმა თავის მოხსენებას [illegible]ეუმძღვარა ლეონიდ ილიას ძე [illegible]ეონიდის სიტყვები მეთერთმეტ[illegible] ხუთწლედში საქართველოს [illegible]ეკონომიკის შესახებ, [illegible]ა ასე ჩამოაყალიბა რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანა: „ითითოეული ეტაპი — ნახევარი წლის, ცხრა თვის, მთლიანად 1981 წლის შედეგების მიხედვით უზრუნველვყოთ რესპუბლიკის ეკონომიკური [illegible] სოციალური განვითარების [illegible]გეგმის 17 ძირითად მაჩვენებელთაგან თითოეულის უთუო შესრულება“.

სხდომაზე გულდასმით გააანალიზეს გეგმის თითოეული პუნქტის შესრულების მიმდინარეობა. [illegible]ალიზაციის მიხედვით იგი შეასრულდა თითქმის 95, მილიონი [illegible]ანეთის, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვების მიხედვით — თითქმის 75 მილიონი მანეთის [illegible]ოდაყარებით.

[illegible] სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდის ტემპმა, რომელიც [illegible] გარკვეულწილად განსაზღვრავს მთელ რიგ სხვა მაჩვენებლებს, ხუთი თვის მანძილზე შეადგინა 105,2 პროცენტი, ვალდებულებებით გათვალისწინებული [illegible]05 პროცენტის ნაცვლად. მაგრამ ცალკეულ თვეებთან შედარებით შეიმჩნევა ამ მაჩვენებლის [illegible]ემცირება. მაგალითად, იანვარში იგი 107,4 პროცენტს უდრიდა.

[illegible] ზრდის დასახულ ტემპს ჩამორჩებიან ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის, ნავთობქიმიური [illegible]ეწარმოების, ქვანახშირის მრეწველობის, მინერალური სასუქების წარმოების, ჩარხსაშენებელი [illegible]ა საინსტრუმენტო მრეწველობის საკავშირო სამინისტროების, [illegible]ვრეთვე აფხაზეთის ასსრ, ქალაქების თბილისის, გორის, ზუგდიდის, რესპუბლიკის 18 რაიონის [illegible]აწარმოები.

[illegible] იმ საწარმოთა შორის, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს ვერ [illegible]ასრულებენ არის საქართველოს [illegible]სრ საშენ მასალათა მრეწველობის, კვების მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა სისტემის საწარმოები.

საანგარიშო პერიოდში სასაქონლო პროდუქციის გამოშვების [illegible]ეოთვიური დავალებების შესრულების მხრივ ყველაზე მეტი [illegible]ამორჩენილი საწარმოა აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, სამხრეთ [illegible]ესეთის ავტონომიურ ოლქში, [illegible]ალქებში გორში, ფოთში, წყალტუბოში, გურჯაანის, მარნეულის, [illegible]ამტრედიის, ცხაკაიას, გორის, [illegible]უგდიდის, კასპისა და სხვა რაიონებში.

[illegible]მკაცრად გააკრიტიკეს გორის [illegible]ბეულის კომბინატის, მეტეხის [illegible]ამენტ მასალათა კომბინატის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კაჯრეთის სამკერვალო [illegible]ბრიკის, რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის, მარნეულის რაიონის სამრეწველო საწარმოთა კომბინატის, ხაშურის რაიონის [illegible]ინის ტარის ქარხნის, საქსოფლ[illegible]ენის ვანის რაიგანყოფილების, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს [illegible]ორის რაიონის ხის დამამზადებელი კომბინატის სამრეწველო საწარმოთა მუშაობა, რომლებიც [illegible]ისტემატურად, თვიდან თვემდე [illegible]ერ ასრულებენ გეგმას.

[illegible] დამაკმაყოფილებელი ვერ არის [illegible]ერც შრომის ნაყოფიერების [illegible]ზრდის გეგმის შესრულების მიმდინარეობა. იანვარში ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვმა მათი საერთო მოცულობის 9,9 პროცენტი შეადგინა, ხოლო ხუთი თვის შედეგების მიხედვით — 13,1 პროცენტი.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს. აღინიშნა, რომ 1981 წელს სახელმწიფო ხარისხის ნიშანზე პროდუქციის ატესტაციის ახალი დებულების სამოქმედოდ შემოღების შემდეგ ასეთი პროდუქციის ნომენკლატურა შემცირდა. ამასთან დაკავშირებით საპატიო ხუთკუთხედიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა წარმოების საერთო მოცულობის 21 პროცენტიდან, რაც მეათე ხუთწლედში იყო მიღწეული, იანვარში 11 პროცენტამდე დაიკლო. სხდომამ სამეურნეო, პარტიულ ხელმძღვანელებს მოსთხოვა მთელი ყურადღება მიაპყრონ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ დიდია კადრების დენადობა და სამუშაო დროის დანაკარგები, რომ საჭიროა რაც შეიძლება მალე ავითვისოთ ახალი სიმძლავრეები. დავაჩქაროთ მსხვილი საწარმოების რეკონსტრუქცია. როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა თქვა, ჩვენ წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი ამოცანა — სულ უფრო სრულად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები. გაერთიანებულ სხდომაზე ამ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო.

ომმხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა —საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ა. ჭითანავამ, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ო. ნ. სულაძემ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ რ. ა. ჯაფარიძემ და სხვებმა გამოავლინეს მიზეზები, თუ რატომ ჩაშალა ნომენკლატურის მიხედვით გეგმის შესრულება, რაც უაღრესად უარყოფითს გავლენას ახდენს მომიჯნავეთა მუშაობაზე. გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა: რესპუბლიკის შრომითს პრესტიჟს ისე არაფერი არ უტეხს სახელს, როგორც სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევა.

სხდომაზე მწვავედ გაისმა მოთხოვნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს შრომის დისციპლინა ყველა უბანზე, გადამწყვეტი ბრძოლა გამოეცხადოს უქნარებს, დოყლაპიებს, გამცდენებს, იმათ, ვინც ცდილობს მეტი წაგლეჯოს და ნაკლები მისცეს სახელმწიფოს.

დაწვრილებით იყო განხილული მშენებელთა, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მუშაკთა საქმიანობა.

აღინიშნა, რომ საქმის ვითარება მნიშვნელოვან ასამეფავებელ მშენებლობებზე გაუმჯობესებას საჭიროებს. 61 ობიექტიდან 34 ობიექტზე არ შესრულებულა ხუთი თვის გეგმა. ამასთან 15-დან 12 ობიექტში, რომლებიც წლის პირველ ნახევარში უნდა გადაეცემოდნენ სიექსპლოატაციოდ, არ დამთავრებულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. განსაკუთრებით ცუდად არის საქმე ახალი ობიექტების — ტაბახმელის ბიოქიმიური კომბინატის, რუსთავის ცემენტის ქარხნის, ეგრისის მეცხოველეობის კომპლექსის, დუშეთის სახელმწიფო სანაშენე მეფრინველეობის ფაბრიკის, სამტრედია-ზესტაფონის რკინიგზის მეორე ხაზის მშენებლობაზე.

დაძაბული ვითარება იქმნება საბინაო მშენებლობის პროგრამის შესრულების საქმეშიც. ნახევარი წლის დავალების რეალიზაციისათვის მშენებლებმა მარტო ივნისში საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ 203 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

— საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის მდგომარეობისათვის, — ითქვა სხდომაზე, — პირადი პასუხისმგებლობა ეკისრებათ მინისტრებს, ტრესტების მმართველებს, სამშენებლო სამმართველოთა უფროსებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს. სწორედ მათ მოეკითხებათ, უწინარეს ყოვლისა, მკაცრად საბანაო მშენებლობის საგეგმო დავალებათა ჩაშლისათვის.

სხდომის მონაწილეებმა დიდი შეშფოთება გამოთქვეს სკოლების, სკოლამდელი ბავშვთა დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობის მდგომარეობისა და მიმდინარეობის გამო. იმაზე, თუ რა ღონისძიებანი ხორციელდება მშენებლობაში ჩამორჩენის ლიკვიდაციისთვის, დაწვრილებით ილაპარაკა საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრმა ამხ. ვ. ტ. გოგოლაძემ.

მოსავლისათვის ყველამ უნდა იზრუნოს

ამინდი არც წელს უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულ დამთავრებას. ხანგრძლივი გვალვა ხშირმა წვიმებმა, ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ და სეტყვამ შეცვალა. ამის შედეგად შენელდა საგაზაფხულო კულტურების თესვის ტემპი, ჩაის ფოთლის კრეფა, საკვების დამზადება. ხეხილის, ჩაის, მარცვლეულის, კარტოფილის ვეგეტაცია მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობს. ნაადრევად შემოდის თავთავიანები, მაგრამ ყოვნდება ჩაის პროდუქტიული ყლორტების განვითარება, საადრეო კარტოფილის ტუბერების წარმოქმნა, ბალახის ზრდა.

მაისში ამინდი კიდევ უფრო გაუარესდა. მკვეთრმა აცივებამ ხელი შეუშალა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წარმატებით დაწყებას.

ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის განხორციელდა ოპერატიული ღონისძიებანი, დაირაზმნენ მშრომელები, გამოიყენეს ტექნიკა, აამოქმედეს მატერიალური რესურსები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები რეგულარულად ჩადიოდნენ რაიონებში და ადგილზევე ოპერატიულად ეხმარებოდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

1 ივნისისათვის რესპუბლიკაში შარშანდელზე ადრე შესრულდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის დავალებანი.

მაგრამ საკვების დამზადების საქმე რიგზე ვერ არის. რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა უხეში და წვნიანი საკვები შარშანდელი როდენობის მხოლოდ 28 პროცენტი დაამზადეს. ამასთან დაკავშირებით სხდომაზე გაისმა მოთხოვნა—გამოვიჩინოთ მეტი ორგანიზებულობა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი, ყოველი დარიანი დღე და საათი — გაცდენილის ანაზღაურებისა და მაღალხარისხოვანი უხეში, წვნიანი და სხვა საკვების საჭირო მარაგის შექმნისათვის.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საქართველოს სსრ მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: კოლმეურნეობებიც და საბჭოთა მეურნეობებიც, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ყველა ადამიანი ნამდვილად უნდა იყვნენ დაინტერესებული იმით, რომ საერთო საკვებრო სუფრაზე უფრო უხვად იყოს მათი პროდუქცია. ეს ეხება რესპუბლიკის მევენახეებსაც, მეჩაიეებსაც, გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკებსაც. შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები, რომლებიც სწორად აფასებენ საქმის ვითარებას თავიანთ დარგში, ითქვა თათბირზე, უფრო პასუხისმგებლობით და თვითკრიტიკულად უნდა მიუდგნენ ამას.

უნდა გავითვალისწინოთ „სიუურპრიზები“ საქმიანად, შემოქმედებითად განვსაზღვროთ მინდვრებში აგროტექნიკური ხეოხები, სამუშაოთა დროს არ გავაცდინოთ არც ერთი საათი, მინიმუმამდე შევამციროთ თესვის ვადები, მივაღწიოთ თითოეული თავთავის, მთლიანად ნათესების სანიმუშო მოვლას — ასეთია დღეგანდელობის მოთხოვნა სოფლის მეურნეობის ყველა სამსახურისადმი, რაც გაერთიანებულ სხდომაზე გამოითქვა.

მთელი რიგი რაიონების, უწინარეს ყოვლისა გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელებმა, ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ისეთ მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურას, როგორიც სორგოა.

სხდომაზე დაისვა აგრეთვე ამოცანა უზრუნველვყოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და ტრანსპორტის შეუფერებელი, საიმედო მუშაობა მინდვრებსა და პლანტაციებში, გაბედულად დავნერგოთ პროგრესული ტექნოლოგია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი ტექნიკური არსენალის მართვის უფრო სრულყოფილი მეთოდები.

ვის სრულყოფის საკითხები, განვავითაროთ ექსპერიმენტები, როგორიც არის, მაგალითად, ცნობილი აბაშის ექსპერიმენტი, შევქმნათ სახალხო მეურნეობის მართვის ახალი, შემოწმებული, ნაცადი, გამართლებული ფორმები და მეთოდები.

ყველაზე პროგრესული სისტემაც კი ვერასოდეს ვერ მოიტანს სასურველ შედეგებს, თუ იგი აღსავსე არ არის ცოცხალი ნაზაარსით, ყოველდღიური ორგანიზატორული, აღმზრდელობითი მუშაობით. და აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული პარტიულ, პროფკავშირულ, სამეურნეო ხელმძღვანელებზე, პრინციპულობაზე, ფორმალიზმის, ჩამორჩენილობის, მოშვებულობის შეუწყნარებლობაზე. ხელმძღვანელები ლიდერები უნდა იყვნენ ყოველივე ახლის, პროგრესულის განხორციელებაში, და ამავე დროს ყოველდღიურად ადევნებდნენ თვალ-ყურს დისციპლინის დაცვას. უამისოდ სახალხო მეურნეობის განვითარების, გეგმებისა და ვალდებულებების შესრულების წარმატებებზე ლაპარაკიც არ შეიძლება. ამას მიაყურადებენ პარტიული და სამეურნეო ორგანოების ყურადღებას ჩვენი პარტია, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი.

უნდა გავაძლიეროთ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა შრომითს კოლექტივებში. ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის როლი გეგმების შესრულების უზრუნველყოფაში, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში, მის მონაწილეთა საწარმოო და საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლებაში.

სხდომაზე მკაცრად გააკრიტიკეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობა, რომლებსაც ზოგჯერ აკლიათ ოპერატიულობა, მებრძოლურობა, მიზანდასახულობა. ისინი ჯერითვნად ვერ რაზმავენ მშრომელებს სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგში წამოჭრილ სიძნელეთა დაძლევისათვის.

გაზეთების, ტელევიზიის, რადიოს რედაქციებმა, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებმა უფრო სრულად უნდა გამოიყენონ შესაძლებლობანი, რათა ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ საყურადღებო თაოსნობანი და წამოწყებანი, ყოველმხრივ გააშუქონ შეჯიბრების მოწინავეთა მიერ მაღალი შედეგების მიღწევის გზები და მეთოდები.

გაერთიანებული სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერი მუშაკები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის ტრანსპორტის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ყველა მშრომელი მთელ ძალ-ღონეს, მთელ გამოცდილებას მოაზმავენ ჩამორჩენის დაძლევას, აამაღლებენ სამმხრულებლო დისციპლინას, კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას წლის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, უზრუნველყოფენ სკკ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, თბილისში გამართულ საიუბილეო ზეიმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების განხორციელებას.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 17 ძირითადი მაჩვენებლის შესასრულებლად ადგილობრივი პარტიული ორგანოების ორგანიზატორული მუშაობის შესახებ გაერთიანებულ სხდომაზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ე. ხაბეიშვილმა.

გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პატარიძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ. (საქინფორმი).

ნატანებელ მეჩაიეთა თაოსნობით

დავაჩქაროთ ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი!

შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 87.088 ათასი ტონით მეტი ფოთოლი. 20 ივნისამდე დავაჭარბოთ ჩამორჩენა!

ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის დამზადება 10 ივნისისათვის სამრეწველო გაერთიანება „საქჩაის“ მონაცემებით.

რაიონები	იყო 1980 წელს	არის 1981 წელს
აფხაზეთის ასსრ	23.698	15.607
აჭარის ასსრ	14.985	12.587
მახარაძის	22.691	15.251
ზუგდიდის	15.405	10.336
ლანჩხუთის	6.359	5.422
წალენჯიხის	7.297	4.399
გეგეჭკორის	6.758	4.784
ჩხოროწყუს	5.983	5.045
ხობის	3.377	2.616
ცაგერის	3.738	2.701
ჩოხატაურის	3.786	2.690
წულუკიძის	2.861	2.241
წყალტუბოს ზონა	3.039	1.540
ტყიბულის ზონა	2.412	921
სამტრედიის	938	794
თერჯოლის	548	394
ვანის	372	178
ბოთურის ზონა	413	151
სულ რესპუბ-ლიკაში	124.886	87.803

გუშინ ენერგიულად გაიხარჯნენ მახარაძის რაიონის მეჩაიეები. მათ ერთ დღეში გადამმუშავებელ მრეწველობას აუვლიათ ნედლეული — 1.545 ტონა ჩაის ფოთოლი მიაწოდეს, მაგრამ დამზადებული ფოთლის მოცულობით მაინც ჩამორჩებიან შარშანდელ დონეს. წლიურს შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ჩაის ფოთლის კრეფაში უკეთესი შედეგი აქვს მხოლოდ გუდაუთისა და ხელვაჩაურის რაიონებს.

რესპუბლიკის მეჩაიეთა ამოცანაა მხარი აუბან ნატანებელთა თაოსნობას, მოკლე დროში გამოასწორონ ნედლეულის დამზადებაში შექმნილი მდგომარეობა და 20 ივნისამდე დაძლიონ ჩამორჩენა.

მევენახეთა ღირსების საქმე

ზიგაანელთა ზვრებში

ბაზი და კახეთი — ერთმანეთისაგან განეყოფილია ეს ორი ცნება. ვაზი ვითარ გამძლე და ამტანია მეზვრე გლეხკაცი. აქაური კაცის შეუპოვრობა ახასიათებს ვაზსაც. ერთგულ, მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს ეს მადლიანი მცენარე, მაგრამ სამაგიეროს გადახდაც ისეთი იცის, რომ დაღვრილი ოფლი არ დაგეწანება.

ვაზმა გაუთქვა სახელი სოფელ ტიბაანს, და რომ ეს სოფელი დღესაც ერთ-ერთი მოწინავეა, ისევ ამ მადლიანი, მეზვრის მოვლა-პატრონობით გალაღებული ვაზის დამსახურებაა, ამბობს სიღნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. მამაიაშვილი.

— მოსავალს კარგი პირი უჩანს. ანდა სხვანაირად რატომ უნდა იყოს?! საშემოდგომო ხვნა და კულტივაცია რთველის დამთავრებისთანავე დავიწყეთ. რაიონში პირველებმა დავამთავრეთ ვენახის გასხვლა. ზაფხული ხშირად როდი გვწყალობს, მაგრამ წელს ზამთარმაც აიღო ხელი. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ ვენახების რწყვას. შევქმენით სპეციალური მრწყველთა ბრიგადები, რამაც საშუალება მოგვცა შემოდგომა-ზამთარში ორჯერ მოგვერწყა როგორც მსხმოიარე, ისე ახალშენი ვენახები. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მესამე და მეექვსე ბრიგადის წევრებმა. ასევე დროულად შევასრულეთ კულტივაციის, თოხნისა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოები. მაისის წვიმებმა ბევრი საზრუნავი გაგვიჩინა!.. ზოგან ვაზი დაავადდა. განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა მოითხოვა ჭრაქის წინააღმდეგ ბრძოლამ. ჭრაქის ნიშნები გამოვლინდა ეთოხე და მეშვიდე ბრიგადებში, მაგრამ ტრაქტორისტების ი. ათანელაშვილის, ნ. გურაშვილის, ო. ათანელაშვილის და სხვათა მართლაც რომ დაძაბული შრომის შედეგად მდგომარეობა მთლიანად გამოსწორდა.

შარშან ჩვენს ვენახში იყო ნაყოფის ყურძნის ჭითი დაზიანების შემთხვევები. ამის გამო წელს ადრევე ვიზრუნეთ მავნებელთა მოსპობისათვის და ვენახები მთლიანად ქლოროფოსით შევწყალეთ. მადლობის ღირსნი არიან ტრაქტორისტები შ. მჭედლიშვილი, უ. გურაშვილი, ვ. ლათიბაშვილი, მ. ხატიაშვილი და სხვ., საერთოდ ყველა მშრომელი. ერთი დარიანი საათიც კი არ დაუკარგავთ. ასეთი ადამიანებისთვის დამატებითი ანაზღაურების ყოველგვარი ფორმა ალალიცაა და აუცილებელიც. არც დაგვნანებია. მაგალითად, ტრაქტორისტების ძირითად გამომუშავებას 30 პროცენტს ვუმატებთ, თუ ისინი ავდარში მუშაობენ. 8 საათზე მეტ ნამუშევარს ორმაგად ვუნაზღაურებთ. მსგავს ღონისძიებებს ვახორციელებთ მევენახეთა მიმართაც. ხშირად მომხდარა, როცა ღილით შეწამლული ვენახი წვიმას ჩამოურეცხია, მაგრამ საღამოს ისევ შეგვიწამლავს. ასე თუ არ მოვიქეცით, ნაშრომი წყალში გადაგვყრება. ერთი სიტყვით, რაცა ვთქვით, გაკეთებთ კიდეც.

მ. მათიაშვილი.

ახალგაზრდული შმმართებით

ჟუთაისის ნ. ლაკობას სახელობის ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივმა ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, მხოლოდ ჩინებული ხარისხის ყოველდღიური მოხმარების საქონლის გამოშვებისათვის.

სურათზე: ახალგაზრდა მჭედლები დ. ჭეიშვილი, ფ. მიქაუტაძე, დ. სულაქველიძე, ე. ხურციძე, ა. გორგიძე და ც. ჩუბინიძე (მარცხნიდან), რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის დავალება.

(საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სანდოლოებიან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1981 წლის 10 ივნისს 68 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ვალერიან ირაკლის ძე მელქაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ი. მელქაძის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ შექმნა მთავრობის კომისია ა. ს. ფრანგიშვილის თავმჯდომარეობით.

ვ. ი. მელქაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

პარტიის პროგრამას შუყაითი გარჯით შეუპასუხოთ!

ისწრაფვიან იმუშაონ საუკეთესოდ

შეჯიბრებამ წარმოაჩინა

თბილისი. საფეიქრო საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“ კოლექტივმა მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმა წარმატებით შეასრულა. ნაცვლად 4 მილიონ 895 ათასისა გამოშვებულია 5 მილიონ 104 ათასი მანეთის პროდუქცია.

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა სიახლის დანერგვას. აქ ახლახან დაიწყეს სხვადასხვა სახეობის საფარდე ქსოვილების გამოშვება. შრომაში დაწინაურდა ტრიკოტაჟის უბანი, რომელსაც ო. ბაღდადაშვილი ხელმძღვანელობს. იგი პირველი კვარტალის მონაცემებით, მიდასაფაბრიკო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა და პირველობას ახლაც არავის უთმობს.

შრომითს პაექრობაში ჩაბმული არიან აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავენი. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მჭყოველებმა ე. ცარიტოვამ, ს. ბერიკაშვილმა, ს. ხუნწაიშვილმა, ა. ნიკოლენკომ, მ. ბიგანიშვილმა და სხვებმა. მათ ვალდებულება იკისრეს ექვსი თვის გეგმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

(„კომუნისტის“ კორ.).

ივლისის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ.). წლის დასაწყისიდან ზეგეგმითი 12 ათასი ტონა საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნა მომხმარებელს ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა. თავი გამოიჩინეს კომუნისტური შრომის იმ ბრიგადებმა, რომლებსაც მ. ვარდოსანიძე, რ. ბოჭორიშვილი, ტ. ჩაფიძე, ვ. გამყრელიძე და გ. ციცქიშვილი ხელმძღვანელობენ. ეს კოლექტივები ახლა წლის მეორე ნახევრის ანგარიშში იძლევიან ქვანახშირს. განსაკუთრებით იმატა შრომის ტემპმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის მზადების დღეებში.

ლენინელებს არც ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივი ჩამორჩება. წლის დამდეგიდან მის ანგარიშზეა 3150 ტონა ზეგეგმითი ენერგეტიკული სათბობი. ნაყოფიერად შრომობენ პირველი (უფროსი — ჯ. გვენეტაძე), მეოთხე (უფროსი — ბ. ქარქაშაძე) და მეხუთე (უფროსი — გ. ქათამაძე) საექსპლოატაციო უბნების კოლექტივები.

ტყიბულელ მეშახტეთა დიდი უმრავლესობა პირნათლად ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს, ისინი ოთხ დღეში ქვანახშირის მონგრევის ხუთი დღის ნორმას ასრულებენ.

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება

10 ივნისს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ალჟირის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ალჟირის მხრივ — ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი შ. ბენჯედიდი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, პარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე ს. ჰოფმანი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლ. იაკერი, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ფინანსთა მინისტრი მ. ჰ. იალა, ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, დაგეგმვის მინისტრი ა. ბრაჰიმი.

მოლაპარაკების დროს ყოველმხრივ განიხილეს პოლიტიკური, სავაჭრო, ეკონომიკურ და სხვა დარგებში საბჭოთა კავშირ-ალჟირის თანამშრომლობის საკითხები, ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანს გამწვავებული საერთაშორისო ვითარება საჭიროს ხდის კიდევ უფრო გააქტიურდეს სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური კონსულტაციები და აზრთა გაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. უწინარეს ყოვლისა, ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

ლ. ი. ბრეჟნევმა დადებითი შეფასება მისცა ანტიიმპერიალისტურ კურსს, რომელსაც საგარეო პოლიტიკაში ახორციელებს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი პარტიულ-სახელმწიფო ხელმძღვანელობის მეცადინეობას ქვეყნის პროგრესულ ძალებს. შეკავშირების საქმეში ალჟირის რევოლუციის მონაპოვართა დაცვის ინტერესებისათვის, სოციალისტური ორიენტაციის გზით ალჟირის განვითარებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა და შ. ბენჯედიდმა კმაყოფილება გამოთქვეს სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-ალჟირის ორმხრივი თანამშრომლობის წარმატებული ნაყოფიერი განვითარების გამო და დაადასტურეს ორივე მხარის მისწრაფება კვლავაც განუხრელად გააფართოონ და გაამტკიცონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის, სსრ კავშირისა და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული კავშირურთიერთობა ორივე ქვეყნის ხალხების ინტერესებისათვის.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და ალჟირის ეკონომიკურ თანამშრომლობას, და მხარი დაუჭირა ამ თანამშრომლობის ყოველმხრივ განვითარებას.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, დადასტურდა, რომ საბჭოთა კავშირი და ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ერთნაირ პოზიციას ადგანან განხილულ აქტუალურ პრობლემებზე. (საკდესი).

წარმატებით ამთავრებს სამეურნეო წლის პირველ ნახევარს თბილისის გაზის აპარატურის ქარხნის კოლექტივი. წლის დამდეგიდან აქ უკვე გამოშვებულია 8.048.000 მანეთის პროდუქცია, რაც გეგმას 82.000 მანეთით აღემატება.

გაზქურის საამქროში მომუშავე კომუნისტური შრომის ამწყობთა ბრიგადა, რომელსაც ვ. ფილიევი ხელმძღვანელობს, ცვლაში ნაცვლად 250 ქურისა 275 ცალ გაზქურას უშვებს.

სურათზე: ვ. ფილიევი (მეორე მარჯვნიდან) და მისი ბრიგადის მოწინავე წევრები თ. ლოლაევი, დები მანანა და მარინე ქონიშვილები, ლ. ვერძული და კ. ჯუსოევი.

ს. კილაძის ფოტო.

მეგობრულ ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 9 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის გენერალურ მდივანს შადლი ბენჯედიდს.

შ. ბენჯედიდთან ერთად სადილად იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, მ. ა. სუსლოვი, ნ. ა. ტიხონოვი, კ. უ. ჩერნენკო, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი და სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

კეთილშობილო ალჟირელო სტუმრებო! ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად მივესალმები ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს, ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პარტიის გენერალურ მდივანს ამხანაგ შადლი ბენჯედიდს და მის თანმხლებ პირებს.

ალჟირთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. მას საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებლობისათვის ალჟირელი ხალხის გმირული ბრძოლის ძნელ წლებში. იგი წლითიწლობით მტკიცდებოდა, როცა თავისუფალი ალჟირი, მოახდინა რა არჩევანი სოციალიზმის სასარგებლოდ, დაადგა ღრმა საზოგადოებრივ გარდაქმნათა გზას ხალხის მასების ინტერესებისათვის. ალჟირელ ხალხთან ერთად გვაბარებს მისი მიღწევები თანამედროვე მეწარმეობის შექმნასა და აგრარული რეფორმის განხორციელებაში, დიდმნიშვნელოვანი სოციალური და კულტურული პრობლემების გადაწყვეტაში.

ბევრი რამ გვაერთიანებს საერთაშორისო პოლიტიკაშიც, სადაც საერთო პოზიციებს ვადგავართ თანამედროვეობის ძირეული პრობლემების მიმართ. ამას კვლავ ადასტურებს დღეს ჩვენთან დაწყებული მოლაპარაკება.

ბუნებრივია, რომ მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა მშვიდობის დაცვის, იმპერიალიტური წრეების მიერ ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების ხელყოფის მოგერიების საკითხები.

ხალხთა სავსებით გასაგებ პროტესტებსა და აღშფოთებას იწვევს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გაჩაღებული უმგალითო გაქანების გამალებული შეიარაღება, პენტაგონის გლობალური სტრატეგიული მანიპულაციები, მთელი ეს გაფაცცებული საქმიანობა, რომელიც, პირდაპირ რომ ვთქვათ, მიზნად ისახავს ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარებას.

ასეთი რეაქცია რომ შეანელონ, ცრუობენ, შეცდომაში შეყავთ საზოგადოებრივი აზრი. ამის მაგალითია მითი „საბჭოთა სამხედრო საფრთხის“ შესახებ — სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა ძველი ფანდი, რომელსაც გულმოდგინედ ავრცელებენ ვაშინგტონი და მისი პეკინელი და სხვა დამჭაშები. როგორც ცნობილია, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის დიდი თანამდებობის წარმომადგენლები არც კი ერიდებიან აშკარა სიყალბის გავრცელებას, რათა დაამახინჯონ და ჩირქი მოსცხონ სსრ კავშირის პოლიტიკას.

კიდევ ერთი მაგალითი — ცდილობენ „ტერორიზმად“ გამოაცხადონ ხალხთა ბრძოლა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ასეთ მტკიცებათა უსუსურობა, ალბათ, განსაკუთრებით გასაგებია ალჟირელი ხალხისათვის, რომელიც შვიდი წლის მანძილზე იბრძოლა ეროვნულ ხელში ებრძოლა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, რომელმაც დამუხრუჭა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება და არ იწდომა გაგვაუხლებინა დიალოგი ევროპაში საშუალო სიშორის იარაღის განლაგების პრობლემებზე, ახლა ცდილობს დაამშვიდოს თავისი მოკავშირეები და საზოგადოებრივი აზრი. ვაშინგტონში აცხადებენ, ვითომდა ამერიკის შეერთებული შტატები ეს-ეს არის დაიწყებს ანდა უკვე დაიწყო მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე.

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ სიტყვებია. სრულიად გარკვევით შეიძლება ვთქვა: ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის გახელისუფლების დროიდან დღემდე არც ერთ საკითხზე ამერიკის შეერთებულ შტატებს არ გადაუდგამს არც ერთი რეალური ნაბიჯი იმისათვის, რომ გაგრძელდეს, თუნდაც წინანდელი წესით, ამ საკითხების არსის განხილვა. პირიქით, ამერიკელები სხვადასხვა საბაბით აჭიანურებენ ასეთი განხილვის დაწყებას, თუმცა ჩვენი მხრივ მზად ვართ დავიწყოთ იგი ყოველ დროს.

ამასთან, დასავლეთი, რომელიც გამალებით ზრდის სამხედრო ბიუჯეტებსა და შეიარაღებას, ძალის, დიქტატისა და მუქარის კულტს საერთაშორისო ურთიერთობაში, კიდევ უფრო აღვივებს სიძულვილს სოციალისტური ქვეყნებისადმი, განმათავისუფლებელი მოძრაობებისადმი, დევნის ყველა პროგრესულ პარტიას, უკვე დღეს მძიმე შედეგებს უქადის ხალხებს.

ერთი მათგანია მემარჯვენე ექსტრემისტების ტერორიზმის სისხლიანი ტალღა, რომელმაც დღეს პირდაპირ წალეკა ბევრი სახელმწიფო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. ტერორის ობიექტები ხდებიან თვალსაჩინო, მათ შორის ყველაზე დიდი თანამდებობის სახელმწიფო, პოლიტიკური და რელიგიური მოღვაწენი. კონკრეტულ გარემოებათა განსხვავების მიუხედავად საერთო მიზანი საკმაოდ მკაფიოდ მოჩანს: მოახდინონ შესაბამისი ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების დესტაბილიზაცია, ჩაახშონ დემოკრატია, - შექმნან ყველაზე რეაქციული დიქტატორული რეჟიმების გახელისუფლების პირობები.

თქვენ, ალჟირელო ამხანაგებო, საკუთარი ტანამთავისუფლებელი ბრძოლის გამოცდილებიდან იცით, რა არის იმპერიალისტური ტერორი: ჯერ კიდევ გახსოვთ ავადსახსენებელი „ოასის“ მხეცობა.

